ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტი: ცოტნე ფუტკარაძე

სამაგისტრო ნაშრომი: დმანისის ნაქალაქარის XVII-XVIII საუკუნეების ლაპიდარული წარწერები(ისტორიულ-წყაროდმცოდნეობითი გამოკვლევა)

ნაშრომი შესრულებულია შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

შუსა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, თეიმურაზ ჯოჯუა

თბილისი 2023

განცხადება

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარგდენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ცოტნე ფუტკარაძე 10:06:2023

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია, დმანისის ნაქალაქარის XVII-XVIII საუკუნეების ლაპიდარული წარწერები. მოცემული წარწერები მრავალი კუთხით არის საინტერესო და მნიშვნელოვანი. მათში არსებული ინფორმაციის ამოღებით, ამ პერიოდის არაერთი საკითხის შესახებ მსჯელობა შეიძლება. თითოეული წარწერა შეძლებისდაგვარად იქნება შესწავლილი. ამ პერიოდის ლაპიდარული წარწერების განხილვისა და შესწავლისას, ძირითადი აქცენტი გაკეთებული იქნება ორბელიანთა/ყაფლანიშვილთა ფეოდალურ საგვარეულო სახლზე. რადგან, სწორედ დმანისის ნაქალაქარზე არსებული დმანისის სიონი, წრმოადგენდა გარკვეულ პერიოდში მათ საძვალეს. ნაშრომში მოყვანილი ინფორმაციებით და მაგალითებით დავინახავთ, თუ რა „ძალას“ წარმოადგენდა ორბელიანთა/ყაფლანიშვილთა ფეოდალური სახლი ქართლის სამეფოში. ასევე ყურადღებას გავამახვილებთ, მათ მიერ წარმოებულ პოლიტიკური ქორწინებების მნიშვნელობაზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ორბელიანებისთვის. ასევე, ნაშრომში საუბარი იქნება, იმ სამოხელეო თანამდებობებზე, რომლებზეც ინიშნებოდნენ ორბელიანთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები. გავიგებთ, თუ რა მდგომარეობაშია და სად მდებარეობს, ორბელიანთა საგვარეულოს წარმოამადგენლების საფლავის ქვები ამჟამად.

Abstract

In this work XVII-XVIII centuries lapidary inscriptions of the village Dmanisi are discussed. These inscriptions are interesting and significant in many aspects. By extracting the information conserved in them, many issues of this period can be examined. Each inscription will be analyzed as much as possible. When considering and studying the lapidary inscriptions of this period, the main focus will be on the Orbelians/Kaflanishvili feudal family. Since the Dmanisis Sioni located in the site of the former city of Dmanisi served as their tomb during a certain period. Based on the information and examples given in the work, we will see what "power" the feudal house of Orbelians/Kaflanishvili represented in the Kingdom of Kartli. We will also focus on the importance of their political marriages, which played asignificant role for Orbelians. Also, the paper will talk about the official positions to which the representatives of the feudal lineage of

Orbelians were appointed. We will find out in what condition and where are the tombstones of the representatives of the Orbelian family currently located.

მადლობა

პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე მომუშავე ყველა მეცნიერ-პედაგოგს, ორი წლის განმავლობაში მიღებული ცოდნისთვის. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს და ჩემს ხელმძღვანელს თეიმურაზ ჯოჯუას გაწეული დახმარებისთვის. ბატონმა თეიმურაზმა ფასდაუდებელი დახმარება გამიწია ნაშრომზე მუშაობის პროცესში, მუდმივად ცდილობდა სწორი მიმართულებით მემუშავა და ნაშრომის ხარვეზები გამომესწორებინა. მუდმივად გვქონდა დისტანციური გასაუბრებები ასევე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და აფასებდა ჩემს ნამუშევარს. ამ ყველაფრის გამო, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თეიმურაზ ჯოჯუას.